

საქართველოს კანონი  
„საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს  
კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 86) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს შეიარაღებული ძალები შედგება:

ა) საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბისაგან;

ბ) სახმელეთო ჯარებისაგან;

გ) სამხედრო-საჰაერო ძალებისაგან;

დ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, მათ შორის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამხედრო მოსამსახურეებისაგან.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი